21.10. 2017

განცხადება

12:00 საათისათვის ამომრჩეველთა აქტიობისა
და
კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

21 ოქტომბერი

08:00 -15:00

საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ ახორციელებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების დღეზე სამონიტორინგო პროგრამას.

არჩევნების დღეზე სამონიტორინგო პროგრამა მოიცავს 19 საარჩევნო ოლქს, კერძოდ: რუსთავის # 20, გარდაბნის # 21, მარნეულის # 22, ბოლნისის # 23, დმანისის # 24, წალკის # 25, თეთრიწყაროს # 26, (ქვემო ქართლი), ბორჯომის # 36, ახალციხის # 37, ადიგენის # 38, ასპინძის # 39, ახალქალაქის # 40, ნინოწმინდის # 41, (სამცხე-ჯავახეთი), საგარეჯოს # 11, ახმეტის # 18, (კახეთის), კასპის # 30, გორის # 32, ქარელის # 33 და ხაშურის # 35 (შიდა ქართლის) საარჩევნო ოლქებს.

სამონიტორინგო პროგრამაში ჩართულია 487 მოკლევადიანი დამკვირვებელი, მათ შორის საუბნო, მობილიური ჯგუფის, საოლქო საარჩევნო კომისიისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამკვირვებელი.

სამონიტორინგო პროგრამა სრულად ფარავს რუსთავის # 20, მარნეულის # 22, გორის # 32, ახალციხის # 37 და ახალქალაქის # 40 საარჩევნო ოლქებს.

არჩევნების დღეზე სამონიტორინგო პროგრამის ხელშეწყობის მიზნით ,,მრავალეროვანი საქართველოს“ ცენტრალურ ოფისში ფუნქციონირებს ინციდენტების ცენტრი. ინციდენტების ცენტრის 8 ოპერატორი მუშაობს საგანგებო რეჟიმში. ოპერატორები მოკლევადიანი დამკვირვებლებისაგან მუდმივ რეჟიმში იღებენ და ამუშავებენ საარჩევნო ხასიათის ინფორმაციას.

გარდა აღნიშნულისა, ,,მრავალეროვანი საქართველოს“ ოფისში მოქმედებს ცხელი ხაზი (591 04 76 02), რითაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ისარგებლოს და არჩევნების დღეზე სამონიტორინგო პროგრამას მიაწოდოს მის ხელთ არსებული საარჩევნო ხასიათის ინფორმაცია.

არჩევნებზე დღეზე სამონიტორინგო პროგრამას სამართლებრივ მხარდაჭერას უწევენ პროგრამის იურისტები.

ამომრჩეველთა აქტიობა 12:00 მდგომარეობით:

რუსთავის # 20 საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენს 105 616 მოქალაქეს. აქედან, 12 საათისთვის დაფიქსირებულია ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 14,8 % - იანი აქტიობა.

მარნეულის # 22 საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენს 98 280 მოქალაქეს. აქედან, 12 საათისათვის დაფიქსირებულია ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 15.4 % - იანი აქტიობა.

გორის # 32 საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენს 110 437 მოქალაქეს. აქედან 12 საათისათვის დაფიქსირებულია ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 12.8 % -იანი აქტიობა.

ახალციხის # 37 საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენს 34 367 მოქალაქეს. აქედან 12 საათისათვის დაფიქსირებულია ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 17.8 %-იანი აქტიობა.

ახალქალაქის # 40 საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენს 38 148 მოქალაქეს. აქედან 12 საათისათვის დაფიქსირებულია ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 21.2 %-იანი აქტიურობა.

რაც შეეხება კენჭისყრის მიმდინარეობის პროცესს, „მრავალეროვანი საქართველოს“ მოკლევადიანი დამკვირვებლების მიერ გამოვლენილი იქნა შემდეგი ხასიათის ინციდენტები:

ახალქალაქის # 40 საარჩევნო ოლქის # 16 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ამომრჩევლის მარკირების წესის დარღვევა. კერძოდ, ამომრჩეველს მარკირების შემოწმების გარეშე მიეცა ხმის მიცემის უფლება. ,,მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლის მიერ სიტყვიერი შენიშვნის საფუძველზე აღმოიფხვრა აღნიშნული დარღვევა, რაც დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

ახალქალაქის # 40 საარჩევნო ოლქის # 16 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული ამომრჩევლის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა. რადგან გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არასწორად იყო მითითებული ამომრჩევლის მისამართი. აღნიშნული დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

ახალქალაქის # 40 საარჩევნო ოლქის # 16 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ბიულეტენის წინასწარი დამოწმება ხელმოწერით და ბეჭდით. ,,მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლის მიერ სიტყვიერი შენიშვნის საფუძველზე აღმოიფხვრა აღნიშნული დარღვევა, რაც დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

მარნეულის # 22 საარჩევნო ოლქის # 51 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული ამომრჩევლების ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა, ვინაიდან დაზიანდა გადასატანი ყუთის ამომრჩეველთა სია. რის გამოც საარჩევნო ოლქის ადმინისტრაციის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება გადასატანი საარჩევნო ყუთი არ გასულიყო საარჩევნო უბნიდან.

მარნეულის # 22 საარჩევნო ოლქის # 5 საარჩევნო უბანი კანონით გათვალისწინებული დროის ნაცვლად გაიხსნა 08:30 საათზე. აღნიშნული შესაბამისი ფორმით დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

ახალქალაქის # 40 საარჩევნო ოლქის # 9 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ამომრჩევლის მარკირების წესის დარღვევა. კერძოდ, ამომრჩეველს მარკირების შემოწმების გარეშე მიეცა ხმის მიცემის უფლება. ,,მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლის მიერ სიტყვიერი შენიშვნის საფუძველზე აღმოიფხვრა აღნიშნული დარღვევა, რაც დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

მარნეულის # 22 საარჩევნო ოლქის # 81 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ამომრჩევლის მარკირების წესის დარღვევა. კერძოდ, ამომრჩეველს მარკირების შემოწმების გარეშე მიეცა ხმის მიცემის უფლება. ,,მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლის მიერ სიტყვიერი შენიშვნის საფუძველზე აღმოიფხვრა აღნიშნული დარღვევა, რაც დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

მარნეულის # 22 საარჩევნო ოლქის # 3 საარჩევნო უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთი 12:15 საათზე დალუქულ მდგომარეობაში დაბრუნდა საარჩევნო უბანზე იმ მიზეზით, რომ გადასატანი საარჩევნო ყუთის ამომრჩეველთა სიაში არსებული ამომრჩევლები არ იმყოფებოდნენ მითითებულ მისამართებზე. კომისიის თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება გადასატანი ყუთი კვლავ გასულიყო უბნიდან.

ახალქალაქის # 40 საარჩევნო ოლქის # 66 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ამომრჩევლის მარკირების წესის დარღვევა. კერძოდ, ამომრჩეველს მარკირების შემოწმების გარეშე მიეცა ხმის მიცემის უფლება. ,,მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლის მიერ სიტყვიერი შენიშვნის საფუძველზე აღმოიფხვრა აღნიშნული დარღვევა, რაც დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

ახალქალაქის # 37 საარჩევნო ოლქის # 6 საარჩევნო უბანზე დამკვირვებელი ცდილობდა დახმარებოდა ამომრჩეველს ხმის მიცემაში, რომელიც რეალურად არ საჭიროებდა დახმარებას. ,,მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლის მიერ სიტყვიერი შენიშვნის საფუძველზე აღმოიფხვრა აღნიშნული დარღვევა, რაც დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

მარნეულის # 22 საარჩევნო ოლქის # 74 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველმა ხმის მიცემა განახორციელა მართვის მოწმობის წარდგენის საფუძველზე. აღნიშნული დარღვევა დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

მარნეულის # 22 საარჩევნო ოლქის # 37 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ამომრჩევლის მარკირების წესის დარღვევა. კერძოდ, ამომრჩეველს მარკირების შემოწმების გარეშე მიეცა ხმის მიცემის უფლება. ,,მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლის მიერ სიტყვიერი შენიშვნის საფუძველზე აღმოიფხვრა აღნიშნული დარღვევა, რაც დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

მარნეულის # 22 საარჩევნო ოლქის # 37 საარჩევნო უბანზე რეგისტრაციის დროს ამომრჩეველმა სიაში ხელმოწერა დააფიქსირა სხვა პიროვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გასწვრივ. აღნიშნული შესაბამისი წესით დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

ახალქალაქის # 40 საარჩევნო ოლქის # 38 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა კენჭისყრის ფარულობის დარღვევა, კერძოდ კაბინაში ხმის მიცემის დროს იმყოფებოდა ორი პირი. აღნიშნული დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

მარნეულის # 22 საარჩევნო ოლქის # 69 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ბიულეტენის წინასწარი დამოწმება ხელმოწერით და ბეჭდით. ,,მრავალეროვანი საქართველოს" დამკვირვებლის მიერ სიტყვიერი შენიშვნის საფუძველზე აღმოიფხვრა აღნიშნული დარღვევა, რაც დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

მარნეულის # 22 საარჩევნო ოლქის # 36 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა კენჭისყრის ფარულობის დარღვევა, კერძოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა, რომელიც იმყოფებოდა ამომრჩეველთა ერთიან სიაში უარი განაცხადა საარჩევნო კაბინაში შესვლაზე და კენჭისყრა განახორციელა საჯაროდ. აღნიშნული დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

ახალციხის # 37 საარჩევნო ოლქის # 6 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ამომრჩევლის მარკირების წესის დარღვევა. კერძოდ, ამომრჩეველს მარკირების შემოწმების გარეშე მიეცა ხმის მიცემის უფლება. ,,მრავალეროვანი საქართველოს" დამკვირვებლის მიერ სიტყვიერი შენიშვნის საფუძველზე აღმოიფხვრა აღნიშნული დარღვევა, რაც დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში.

მარნეულის # 22 საარჩევნო ოლქის # 55 საარჩევნო უბანზე მოქალაქე რასინ ისმაილოვი გამოცხადდა სხვა პირის, კერძოდ ,,ევროპული საქართველოს" წარმომადგენლის აკრედიტაციით, რაც დადასტურდა აღნიშნულის პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და აკრედიტაციაში მითითებული პირადი ნომრის უზუსტობით.

გორის # 32 საარჩევნო ოლქის # 69 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა მოქალაქის მიერ სხვა პირის ნაცვლად ხმის მიცემის მცდელობა, იმ მოტივით რომ აღნიშნული მოქალაქე წარმოადგენდა იმ ამომრჩევლის მეურვეს, რომლის ნაცვლადაც ცდილობდა ხმის მიცემას. აღნიშნულ ფაქტზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ მოხდა ადეკვატური რეაგირება.

"მრავალეროვანი საქართველო" 2003 წლიდან აქტიურად არის ჩართული ქვეყანაში არჩევნების გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და საარჩევნო პროცედურების ეფექტურად რეალიზების პროცესში. ორგანიზაცია მონიტორინგს უწევდა საქართველოში გამართულ ყველა არჩევნებს.

არჩევნების დღეზე სამონიტორინგო პროგრამა ხორციელდება საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს, ეროვნული ღვაწლი დემოკრატიისათვის (NED), ფონდი „ღია საზოგადოება საქარველოს" (OSGF), საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოსა და შვედეთის საგარეო საქმეთა სამინიტროს ფინანსური მხარდაჭერით.

განცხადების შინაარსზე პასუხისმგებელია საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო" და იგი შესაძლოა არ ასახადეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

საქართველო, 0102, თბილისი, დ. უზნაძის ქ. 117, II სად., 1 სართ.
ტელ/ფაქსი : (+995 32) 296 21 25
e-mail: pmmg@pmmg.org.ge *web-page : www.pmmg.org.ge*